პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 აპრილი პარასკევი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 78 (14682)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური გამგრძელებლის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, უდიდესი სოციალური რევოლუციის ხელმძღვანელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1970 წლის 21 აპრილს ქალაქ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

დიადი დღესასწაულის წინ

2 აპრილის მოწინავე

ლენინგრადელი გაზაფხული ბუნების მარტო ჩვეულებრივი გამოვლინებით როდი გვახარებს. იგი მილიონობით ადამიანის სულიერ აღმავლობას, შემოქმედებითს აღმაფრენას იწვევს. საბჭოთა ქვეყნის მშრომელები მაღალი და ნათელი გრძნობებით ეგებებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ეს გრძნობები — მზურვალე სიყვარული ჩვენი უკვდავი ბელადისა და მასწავლებლისადმი, უსაზღვრო ერთგულება მისი საქმისადმი, მისი მოძღვრებისადმი — აერთიანებს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს, ყველა ეროვნების მშრომელებს. ემზადებიან რა სახელოვანი წლისთავისათვის, ისინი კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ რიგებს კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. პარტიისა და ხალხის ერთიანობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე.

ხამშობლოს მთელი პოლიტიკური და შრომითი ცხოვრება, ხალხის ყველა პატრიოტული საქმე ახლა უკავშირდება მოახლოებულ ლენინის იუბილეს. მას ეძღვნება ნაზიმო კრებები და სალაზოები, ლექციები და თეორიული კონფერენციები, გამოფენები და ექსკურსიები, მრავალნაირი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი და მასობრივი პოლიტიკური მუშაობის ფორმები. ისინი მშრომელებს ხელს უწყობენ ღრმად გაიაზრონ ლენინის იდეების სიდიადე და საარსებო ძალა, კვლავ და კვლავ გონების თვალით გადახედონ გიგანტურ გზას, რომელიც საბჭოთა ხალხმა განვლო ლენინის დროშით.

საუკეთესო წესს ჯეროვნად აღნიშნონ ღირსშესანიშნავი თარიღი, საბჭოთა ადამიანები უწინარეს ყოვლისა იმაში ხედავენ, რომ აპრილის ამ დღეებში გაორკეცებული ენერგიით იშრომონ, მთელი თავანადი ძალლონე მოახმარონ XXIII კონგრესის მიერ დასახულ კომუნისტური შენებლობის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას. ნაყოფიერი შრომის თვითეული დღე ხომ ეს არის ათასობით ახალი მანქანა, ასეული ათასობით ტონა ლითონი, მილიონობით ტონა სათბობი. ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების გზაზე—დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სახალხო მეურნეობის თანამედროვე მასშტაბებისა. საკმარისია თქვას, რომ ახლა ჩვენი მრეწველობა ყოველდღე უშვებს დაახლოებით იმდენ პროდუქციას, რამდენსაც რევოლუციამდელ დროში სამ თვეში უშვებდნენ.

და ყოველდღე ჩვენი ქვეყანა იგებს ახალი შრომითი გამარჯვებების ამბებს, რომლებიც ამრავლებენ მის სიმდიდრეს, ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას. კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა აამუშავეს მეათე აგრეგატი, და მსოფლიოში უდიდესმა ჰიდროსადგურმა მიიღწია ხუთ მილიონ კილოვატ სიმძლავრეს. კუზნეცკისა და დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნების კოლექტივებმა შეასრულეს ნაკისრი საიუბილეო ვალდებულებანი, გამოუშვეს ათასობით ზეგებგშინი ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. ასობით დამატებითი ეშელონი ქვანახშირი ამოიღეს უკრაინელმა მეშახტეებმა, მათ ვადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა. ასეთი კარგი ამბებით არის აღსავსე უკანასკნელი კვირის შრომითი ქრონიკა.

მაღლა უჭირავს სოციალისტური შეჯიბრების დროშა ლენინის იუბილეს აღსანიშნავად ჩვენს მუშათა კლასს. მერვე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში მკაფიოდ და სრულად გამოვლინდა მისი როგორც საბჭოთა საზოგადოების წამყვანი აღმშენებლობითი ძალის როლი. მუშათა კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ. მრეწველობის მოწინავე მშრომელები, ეს ხუთწლედის ნამდვილი ავანგარდია, მისი მარჯვენა ფლანგელები არიან, რომლებიც უჩვენებენ დამკვრელური შრომის მაგალითს. მარტო მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოებში დაახლოებით 250 ათასმა მუშამ უკვე შეასრულა ხუთწლიანი დავალებანი.

ჩვენი კოლმეურნე გლეხობა ისწრაფვის ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნოს ლენინის დღეები. სამხრეთი რაიონებიდან მოდის ცნობები, რომ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უფრო ორგანიზებულად, ვიდრე წარსულ, აწყობს საგაზაფხულო თესვას. მინდვრებში კიდევ უფრო ფართოდ ჩაედება ბრძოლა მომავალი მოსავლისათვის. სოფლის მშრომელები მთელ ძალლონეს ახმარენ აგრეთვე მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას.

მუშებთან და გლეხებთან ერთად კომუნისტური შენებლობის საერთო-სახალხო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიქნა საბჭოთა ინტელიგენციას. მარტო ლენინური პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომების ჩამოთვლა მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ რა განუხრელად ვითარდება ჩვენი მეცნიერულ-ტექნიკური აზრი და როგორ აყვავდა სოციალისტური კულტურა.

ჩვენი საზოგადოების ყველა მშრომელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ლენინის იუბილეს წინადღეები გადაქცეოს სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ახალი შემოქმედებითი მიღწევების დაუვიწყარ დღეებად. ხალხის ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი მიღწევა, კომუნისტური შრომის ნამდვილი ზეიმი იქნება 1970 წლის 11 აპრილის სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა. მზადება შაბათობისათვის, რომელიც საყოველთაო აღფრთოვანებისა და ენთუზიაზმის ატმოსფეროში მიმდინარეობს, გამოხატავს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობასა და აქტივობას.

საბჭოთა ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს მთლიანად იზიარებენ ჩვენი მეგობრები მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენთან ერთად ამ ქვეყნების ხალხები სიხარულით ხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს როგორც დიად ინტერნაციონალურ დღესასწაულს. ისინი დიდი აღმავლობით მუშაობენ დღესასწაულის წინადღეებში, ავითარებენ თავიანთ ეროვნულ ეკონომიკას, განამტკიცებენ სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებას. ლენინური იდეები ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხების შემოქმედებითი ძალების წყარო და ურღვევი ერთიანობის საფუძველია. ეს დიადი იდეები შთაგონებენ ყველა კონტინენტის მშრომელებს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის საბრძოლველად. აღნიშნავენ რა ლენინის იუბილეს, საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ მოგველის უდიდესი სამუშაო, დიდი და რთული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს კიდევ უფრო მეტ მეცადინეობას, ვიდრე დღემდე. ამ ამოცანათა გადაწყვეტა მთელი ხალხის საქმეა, თვითეული საბჭოთა ადამიანის საქმეა.

მშრომელთა შეგნებულობაზე, მათს ინიციატივაზე, კულტურასა და პროფესიულ ოსტატობაზე დამოკიდებულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროგრამის წარმატებით შესრულება. აი რატომ არის, რომ პარტია, რომელიც ლენინის ანდერძს ახრულებს, ყველაფერს აკეთებს ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანების აღზრდისა და სწავლებისათვის. მისი მუდმივი ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა მასებში, ხელმძღვანელი როლი საზოგადოების ცხოვრებაში ჩვენი განუხრელი წინსვლის მთავარი პირობა და გარანტიაა.

ლენინი და პარტია მარად შეერთებული. შერწყმულია ხალხის შეგნებაში. ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 100 წლისთავს რომ დღესასწაულობენ, მშრომელები ახალი ძალით ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას ლენინიზმისადმი, სიყვარულსა და უსაზღვრო ნდობას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც მაღლა უჭირავს ლენინიზმის დროშა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეებს, რომელიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს

გულითადად მივესალმებით მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეებს, რომლებიც შეიკრიბნენ მოსკოვში, რათა გამოთქვან, თუ რა დიდი პატივისცემით და სიყვარულით ეკიდებიან ვენილარ მოაზროვნეს, მგზნებარე მებრძოლს იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, კაცობრიობის თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს.

ლენინის სახელთან დაკავშირებულია ისტორიული დეკრეტი ზავის შესახებ — საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ლენინი ფუძემდებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა, რომელსაც მისი ანდერძით თანმიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა.

ლენინის იდეები საიმედო იარაღია იმათ ხელში, ვინც გადაჭრით ებრძვის იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას, იცავს ხალხთა იმ განუყრელ უფლებას, რომ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი, ვინც ცდილობს მიაღწიოს სხვადასხვა მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების ერთიანობას მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლამ დღეს ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბი მიიღო. ლენინის სახელოვანი იუბილეს წინ ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანს შეუძლია კმაყოფილებით აღნიშნოს, რომ მათმა აქტიურმა ერთობლივმა მოქმედებამ ხელი შეუწყო დიდმნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას. ამავე დროს ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა შევქმნათ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საიმედო გარანტიები.

ვსარგებლობთ იმით, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო, სხვადასხვა ანტისამარი ორგანიზაციისა და მოძრაობის წარმომადგენელნი აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის იუბილეს მოსკოვში და გვსურს განვუცხადოთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმე, რომ მათ შეუძლიათ საბჭოთა კავშირის სრული იმედი იქონიონ თავიანთ კეთილშობილურ საქმიანობაში. საბჭოთა ადამიანები ეხმარებიან და კვლავაც დაეხმარებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც თავდადებით იბრძვის ამერიკელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მიაღწიონ მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ და კვლავაც დავუჭერთ მხარს არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ პირობის დაუთქმელად დაუბრუნონ ისრაელის სამხედრო ხროვის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, ჩვენ მხარს დავუჭერთ მდგომარეობის ნორმალიზაციას ახლო აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად იბრძოლებს მილიტარისტული და რევანშისტული ძალების წინააღმდეგ, ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ კონსტრუქციულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებსაც საბოლოო ანგარიშით მოჰყვებოდა განიარაღების პრობლემის გადაჭრა.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგული ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი წინანდებურად განუხრელად დაუჭერენ მხარს მშვიდობის მომხრეთა ინიციატივასა და მოქმედებას დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, ფართო და საქმიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიას. ვუსურვებთ, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშლილიყოს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობა. ახალი წარმატებები მოეპოვებინოს ხალხთა უშიშროებისათვის, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში!

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

სსრკ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გუდაპეშტში

გუდაპეშტი, 2 აპრილი. საკავშირო სპეციალური კორესპონდენტები გ. შიმკინი და ა. სემენოვი გვატყობინებენ:

დღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მოწვევით ბუდაპეშტში უნგრეთის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

დედაქალაქის დასავლეთის ვოგზალზე, რომელიც საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, დელეგაციას შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პალ ლოშონცი, თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლაიოშ ცინეგე და საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ პეტერი.

მშვიდობისათვის ბრძოლის ლენინური დროშით

2 აპრილს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესია, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სესიაში მონაწილეობენ ყველა კონტინენტის ბევრი ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები, მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა მწერალმა ა. ე. კორნეიჩუკმა. მან წაიკითხა ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინის მისასალმებელი წერილი სესიის მონაწილეებისადმი, რასაც მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა ნ. ს. ტიხონოვმა გააკეთა მოხსენება „ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის“. (საკვლევი).

სამშოგლოს—მეცნიერთა შრომა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესია

საღდესასწაულოდ მორთული შეეგება 2 აპრილს სსრ კავშირის დიდი თეატრი თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებსა და მათ საზღვარგარეთელ სტუმრებს. ისინი მოვიდნენ აქ, რომ საზეიმოდ აღენიშნათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები: ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, რომლებსაც საიუბილეო სესიის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან.

საიუბილეო სესია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნს.

ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!
პატივცემული სტუმრებო!

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ იმ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან საზეიმოდ აღნიშნონ ვლადიმერ ილიას- ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ამ დიდი იუბილესადმი მიძღვნილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესიაზე აკადემიას გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

(დასასრული მე-2 გვ.).

ეს დღეები სოფლად

მიწა, უეჭველია, წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში.

ვ. ი. ლენინი



დაითესა პირველი ასეული ჰექტარები

მცხეთა. (საკ. კორ.). უკანასკნელ დღეებში რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხვნელ-მთესველები ბეჯითად მუშაობენ, საფუძველი ეყრება საიუბილეო წლის უხვ მოსავალს. დაითესა პირველი 400 ჰექტარი მარცვლეული, ბოსტნეული კულტურები. ამ დღეებში მასობრივად შეუდგებიან სიმინდის თესვას. ეს სამუშაო უნდა შესრულდეს 1.640 ჰექტარზე. ყველგან მოიმარაგეს კონდიციური თესლი.

კარგი სტარტი აიღეს მევენახეებმა, მეხილეებმა. მათ ვაზისა და ხეხილის გასხვლა, მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება აგროვადებში დამთავრეს. ახლა ვენახებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვაზის ახვევა, მყნობა, სასუქების შეტანა.

ოერჰილა. (სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად დაიწყო სიმინდის თესვა. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სიმინდი გეგმით უნდა დაითესოს 5 ათას ჰექტარზე. ამისათვის საჭიროა სულ მცირე 2.085 ცენტნერი თესლი. მხვნელ-მთესველებმა კარგად იმუშავეს, და კონდიციური თესლი გეგმაზე მეტი აქვთ.

თესვას რაიონში პირველები შეუდგნენ ყწრის, სიქთარვის, ჩხარის, თუზის, კვახჭარის, ჭოვნარის, გოდოგნისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. პირველ დღესვე სიმინდი დათესა 400 ჰექტარზე მეტი.

წყალტუბო. (საკ. კორ.). კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთლიანად არიან უზრუნველყოფილი სიმინდის, სოიის, ბოჩეულ-ბოსტნეულისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების კონდიციური თესლით.

მაღლაკის, მუხიანის, ფარცხანაყანევის, პატრიკეთისა და ოფშკვითის კოლმეურნეობებში დაიწყო ბოსტნეულის ღია გრუნტში თესვა.

სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში დაამთავრეს ბარდისა და ხახვის თესვა, ხოლო პამიდორი გეგმით გათვალისწინებული 120 ჰექტარიდან დღემდე 35 ჰექტარზე დარგეს.

მებოსტნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხახვის თესვის დავალება.

ხალხი ამბობს: მიწა გვარჩენსო. სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანები გმირულად მუშაობენ, რათა მიწას გამოართვან იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია ასეთი დევიზით შრომობენ ამ სურათზე აღბეჭდილი ახალგაზრდები.

ესენი არიან გალის რაიონის აჩიგვარას ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის წარჩინებული ადამიანები — რეს პუბლიკაში ქალთა პირველი კომკავშირული კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნაზიბროლა ხასაია, ნელი ფელნიკოვა და იამზე ჯაანაშია. ეს ბრიგადა, რომელსაც ნაზიბროლა ხელმძღვანელობს, წელს მექანიზებულად მოკრეფს 100 ტონა ჩაის ფოთოლს.

ფოტო ი. ბოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიის მონაწილეთა მიმართვა

(დასასრული)

შობლოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და კულტურის აყვავებაში.

ყველას გვახსოვს, რომ ვ. ი. ლენინი იყო საბჭოთა მეცნიერების პირველი და უდიდესი ორგანიზატორი, იდგა მის აკვანთან. მას ყველაზე მეტად სწამდა ადამიანის გონების ძლიერება, მიაჩნდა, რომ მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები არის უდიდესი ღირებულებანი, ის ძალა, რომელიც დაგვეხმარება გარდავქმნათ მსოფლიო და ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა ბედნიერი მომავალი. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის მძიმე წლებში ლენინი ზრუნავდა მეცნიერებისათვის, დიდი უურადღებით ადევნებდა თვალს საბჭოთა მეცნიერების პირველ ნაბიჯებს. სწორედ ლენინი იყო მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების პირველი გეგმების ავტორი, ტექნიკური პროგრესის ისტორიაში პირველი მეცნიერული პროგნოზის შექმნის ინიციატორი. ღრმად სწამდა რა მეცნიერების უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი სოციალიზმის პირობებში, ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოაცხადა: „მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმომადგენლების კავშირის წინაშე ვერავითარი ბნელი ძალა ვერ გაძლებს“ (თხზ. ტ. 30, გვ. 484).

საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება, კომუნისტური მშენებლობის მთელი გამოცდილება ადასტურებს ლენინური იდეების სიმართლეს. მოკლე ისტორიულ ვადებში საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ მიაღწიეს მოწინავე მიჯნებს, მოიპოვეს შესანიშნავი გამარჯვებანი. მთელ მსოფლიოში აღიარებულია საბჭოთა ფიზიკოსების, მათემატიკოსების, ქიმიკოსების, სხვა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების თვალსაჩინო წარმატებანი. საბჭოთა მეცნიერების მიღწევებმა ხელი შეუწყო ტექნიკისა და მრეწველობის ახალი დარგების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებით წინსვლას, მედიცინისა და პრაქტიკის სხვა დარგების პროგრესს. საბჭოთა მეცნიერებამ უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში: საბჭოთა კავშირმა პირველმა გაკვალა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების გზები, დაიწყო კოსმოსური ერა კაცობრობის ისტორიაში, მიაღწია მსოფლიო მნიშვნელობის ბევრ სხვა წარმატებას. მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, სადაც მსოფლიოს მეცნიერ მუშაკთა მეოთხეი მუშაობს, მტკიცე საფუძველი აქვს — საყოველთაო-სახალხო განათლება, რომელიც სოციალისტური წყობილების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, და ჩვენი უმაღლესი სკოლის ფართო განვითარებაა.

ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დამდეგს ვ. ი. ლენინმა გამოაკვლია მეცნიერებაში რევოლუციურ გადატრიალებათა არსი და თავისებურებანი, წინასწარ განჭვრიტა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოში გაიშალა.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საბჭოთა მეცნიერების მუშაკებს ძალებისა და შემოქმედებითი ნიჭის გამოყენების ახალ უფართოეს შესაძლებლობებს უხსნიდა და, ამასთანავე, მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განსაზღვრა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება, მისი ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა როგორც ჩვენი ეკონომიკის განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მთავარი ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტის მთავარი გზა, რომელიც დასახულია პარტიის მიერ XXIII ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე, ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში — ეს არის, რომ დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გავაუმჯობესოთ მეურნეობის მართვა, ვიბრძოლოთ მატერიალური და ფულადი რეზერვების უფრო ეფექტიანად და მიმჭირნედ გამოყენებისათვის.

საბჭოთა მეცნიერნი ითვალისწინებენ, რომ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანა მეცნიერული შედეგების რაც შეიძლება სწრაფად და ყველაზე უფრო სრულად გამოყენება წარმოებაში, პრაქტიკაში. პარტია ყვასუალის ყოველდღიურ საქმიანობაში ვიხელმძღვანელოთ ლენინის მოწმოდებით, „რომ მეცნიერება ჩვენში არ უნდა იყოს მკვდარი წერტილი ან მოდური ფრაზა... რომ მეცნიერება მართლაც გამჯდარი უნდა იყოს ხისხლსა და ხორცში...“ (თხზ., ტ. 45, გვ. 391, რუს.).

ჩვენ მოვუწოდებთ მეცნიერ მუშაკთა თვითეულ რაზმს, მთელ მეცნიერულ და ტექნიკურ ინტელიგენციას, საბჭოთა ხალხის მთელ შემოქმედებითს ძალებს ყველაფერი იღონონ, რათა მეცნიერების მიღწევები გამოიყენონ ახალი მანქანებისა და ხელსაწყოების, ახალი მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების რაც შეიძლება სწრაფად შემუშავებისა და დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ტექნიკურ ხელახალ შეიარაღებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ახრულებენ რა ლენინის ანდერძს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, ქმნიან ყველა პირობას საბჭოთა მეცნიერების ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ამ უურადღებისა და ზრუნვის საუკეთესო პასუხი იქნება თავდადებული შრომა ჩვენი დიდი სამშობლოს საღიდებლად, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, ძალას გვმატებს ჩვენი ხალხისადმი სამსახური, საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის დიადი იდეები. სოციალიზმმა არამარტო დასახა მეცნიერების განვითარების უმაგალითო შესაძლებლობანი, არამედ პირველად მოგვცა საშუალება გამოვიყენოთ მისი შედეგები მუშათა კლასის, მშრომელების, მთელი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებისათვის.

საბჭოთა მეცნიერებს შთაგონებს იმის შეგნება, რომ მათი შრომა ემსახურება ყველაზე მუშაური მოსწავლის — კომუნიზმის მშენებლობას, მშვიდობის განმტკიცებას, მშრომელი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას. ისინი აქტიურად უშერენ მხარს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და სხვა ქვეყნების პაციფისტ მეცნიერებთან ერთად თანმიმდევრულად იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ ადამიანის გენის მიღწევები გამოყენებულ იქნას ნგრევის მიზნებისათვის, იბრძვიან მშვიდობისათვის და ყველა ხალხის დამოუკიდებელი სუვერენული განვითარების უფლებისათვის, საყოველთაო უშიშროებისა და ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობის განმტკიცებისათვის მშვიდობისა და კაცობრობის პროგრესის საკეთილდღეოდ.

ლენინის განსაკუთრებით კარგად ესმოდა მეცნიერების უპირველესი მნიშვნელობა ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობისათვის. მის შრომებში ღრმად არის დამუშავებული საკითხი მეცნიერების უდიდესი გარდამქმნელი როლის შესახებ, სოციალიზმის პირობებში მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეცვლის შესახებ, კომუნიზმისაკენ მეცნიერების, ტექნიკური პროგრესის, კულტურის გარეშე აუფლებლობის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ძირეული პრობლემების გადაჭრის დროს ლენინი მუდამ მიმართავდა თეორიას, ხაზს უსვამდა, რომ საჭიროა მისი განვითარება. მისი ხელმძღვანელობით ისტორიაში პირველად მეცნიერული შემოქმედება სახელმწიფო მასშტაბით ჩაედგა სოციალიზმის მშენებელი მშრომელი მასების ინტერესების სასახურში.

როგორც ცნობილია, ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეცნიერებათა აკადემიის — საბჭოთა მეცნიერების მთავარი შტაბის განვითარებასა და განმტკიცებას, მის წამყვან ძალას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთელი მრავალფეროვანი, ნაყოფიერი საქმიანობა განურჩევლად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან, მთელი მისი ცხოვრების საქმესთან.

ლენინის ინიციატივითა და მისი ხელმძღვანელობით მიღებულია მთელი რიგი დიამნშვნელოვანი გადაწყვეტილებანი: მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების გეგმის შემუშავების შესახებ, გოელროს გეგმის შესახებ, კურსკის მაგნიტური ანომალიის გამოკვლევის, არსებული სამეცნიერო დაწესებულებების დახმარებისა და ახალი სამეცნიერო დაწესებულებების შექმნის, მეცნიერებათა აკადემიის დამატებითი დაფინანსების შესახებ და სხვენი სხვა.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის, ომის შემდგომი ნგრევისა და შიმშილის ძნიმე პირობების მიუხედავად, პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო საკითხების გადაჭრის გამო დიდი მოუცლელობის მიუხედავად, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მისთვის ჩვეული გულისხმიერებით ზრუნავდა მეცნიერებსა და სპეციალისტებზე, მათთვის ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებაზე, მათი შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო პირობების შექმნაზე. კარგად ცნობილია, თუ რა დიდად აფასებდა და პირად ყურადღებას იჩენდა ლენინი სამამულო მეცნიერების ისეთი დიდი მოღვაწეებისადმი, რომლებიც პატიოსნად ემსახურებოდნენ ხალხს, როგორიც არიან ი. პ. პავლოვი, კ. ა. ტიმირიაზევი, ი. ვ. მიჩურინი, კ. ე. ციოლკოვსკი, ი. მ. გუბკინი და ბევრი სხვა.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგ განვითარების ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა რუსეთის ინტელიგენციის დემოკრატიულ ტრადიციებს, პროგრესულ მეცნიერთა მჭიდრო კავშირს ხალხთან. შეიქმნა პრინციპულად ახალი სოციალურ-ეკონომიური საფუძველი მუშებთან და გლეხებთან მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობისათვის, შრომისა და ცოდნის ჭეშმარიტი კავშირისათვის. ლენინი, კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანაში აყალიბებდნენ ახალ, სოციალისტურ დემოკიდებულებას მეცნიერებისადმი, კულტურისადმი, განათლებისადმი, საძირკველს უყრიდნენ საზოგადოებრივი პროგრესის ამ ერთ-ერთი უმძლავრესი ძალის განვითარებას, რომელმაც ესოდენ უხვი ნაყოფი გამოიღო.

პირველი ხუთწლედების წლებში, როცა მთელი ქვეყანა გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობად იქცა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა სამეცნიერო ინტელიგენცია, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში იყო, მხურვალედ გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას თავისი წვლილი შეეტანა იმ საქმეში, რომ ჩვენი ქვეყანა დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, სოლო მეცნიერებისა და კულტურის საგანური მიღიონობით მშრომელი მასების კეთილეულად გადაგვექცია. მეცნიერებთა აკადემიის მეცნიერები ვასდენენ ინდუსტრალიზაციის განსორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, ხალხის კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა გააჩაღეს ფართო კვლევა, რომელსაც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა, უშუალოდ მონაწილეობდნენ სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავებაში.

საბჭოთა ადამიანები მადლიერებით იხსენიებენ ჩვენს მეცნიერთა თავდადებულ პატრიოტულ შრომას დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, მისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი რესურსების გამოძებნისათვის, ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დაჩქარებისათვის. და ომისშემდგომ წლებშიც მეცნიერთა აქტიური მონაწილეობა რომ არა, ესოდენ მოკლე ვადებში ვერ აღმოფხვრიდით სახალხო მეურნეობაში ომის ძნიმე შედეგებს, თანაბრდოვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონემდე ვერ ავამაღლებდით საზოგადოებრივ წარმოებას.

სოციალიზმმა ფართო სარბიელი დაუსახა მეცნიერების განვითარებას, გადააქცია იგი ჩვენს ქვეყანაში საერთო-სახელმწიფო საქმედ, ჩაადგა კაცობრობის ყველაზე კეთილშობილი იდეალების სამსახურში. ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, პარტია და სახელმწიფო მუდამ ზრუნავენ, რომ რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები შეუქმნან მეცნიერული კაძრების მომზადებას, მათს ზრდასა და ნაყოფიერ საქმიანობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეცნიერებთა აკადემია მეცნიერთა ასოციაციიდან, რომელიც სულ რამდენიმე ლაბორატორიას და მუზეუმს აერთიანებდა, გადაიქცა უდიდეს სამეცნიერო ცენტრად, რომელსაც მთელ ქვეყანაში საკვლევი ინსტიტუტების ფართო ქსელი აქვს. ახლა მის შემადგენლობაში მუშაობს ორასზე მეტი კარგად აღჭურვილი ინსტიტუტი და სამეცნიერო დაწესებულება. აკადემიამ დიდი დასმარება გაგვიწია, რომ შეგვექმნა რესპუბლიკური აკადემიები, რომლებიც მეცნიერების დიდი ცენტრები გახდნენ. შეიქმნა აგრეთვე და წარმატებით ვითარდება აკადემიის ციმბირის განყოფილება. ამ ბოლო წლებში წარმოიშვა აკადემიის ახალი სამეცნიერო ცენტრები და ფილიალები მოსკოვის ოლქში, ურალში და შორეულ აღმოსავლეთში, ბაშკირეთში, ბურიატეთსა და კარელიაში. ფართოვდება მეცნიერული კვლევის ბაზა ქვეყნის სხვა ეკონომიურ რაიონებშიც.

ჩვენს ქვეყანაში აღიზარდა შესანიშნავ მეცნიერთა მთელი არმია, რომელებსაც შეუძლიათ გადაჭრან თანამედროვეობის ურთულესი მეცნიერული პრობლემები, ფარდა ახადონ ბუნების ყოველგვარ საიდუმლოებას. მათი შემოქმედებითი საქმიანობა ავლენს ეკონომიკის ზრდის ახალ რეზერვებს, ამრავლებს ქვეყნის რესურსებს, აჩქარებს ტექნიკური პროგრესის ტემპს, განამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას. საბჭოთა მეცნიერები — ეს არის ჩვენი პარტიის, სახელმწიფოს, მთელი ჩვენი ხალხის სიამაყე! ისინი გარემოსილი არიან საყოველთაო პატივისცემით, მათი დიდი წარმატებანი ღირსეულად აღინიშნება საბჭოთა სახელმწიფოს ჯილდოებით.

ამხანაგებო! ამჟამად მთელი კაცობრიობა ხედავს და აღიარებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენიისა და შრომისმოყვარეობის დიდ გამარჯვებებს, ჩვენი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეთა მიღწევას. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საბჭოთა მეცნიერება დიდი წარმატებებით ეგებება.

დიდია აკადემიის მეცნიერთა დამსახურება ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში, ტექნიკური პროგრესის მეცნიერული საფუძვლების შექმნაში. აკადემიის ინსტიტუტების ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ხელი შეუწყო ენერგეტიკისა და მეტალურგიის, რადიოელექტრონიკისა და ავტომატიკის, ჩვენი ინდუსტრიის სხვა დარგების სწრაფ ზრდას. დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ მომართულებათა ფართოდ განვითარებამ და ქვეყნის მაღალმა სამრეწველო პოტენციალმა უზრუნველყვეს თვისებრივი ნახტომი ავიაციის, სარაკეტო ტექნიკის, უნიკალური მანქანათმშენებლობის დარგში. უმაღლეს ვადებში გადაიჭრა ატომური ბირთვის ენერგიის დაუფლების, ატომური მრეწველობის შექმნის, მსოფლიოში პირველად მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემები.

მსოფლიო აღიარება ჰპოვა საბჭოთა მეცნიერების მიღწევებმა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ცოდნის სხვა დარგებში, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანას ეკუთვნის პირველობა კოსმოსური კვლევის განვითარების ძირითადი ეტაპების განხორციელებაში. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სამშობლოს, არსებითი წვლილია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში.

სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ განვითარების, მისი უნარისა და ნიჭის გამოვლინების წარამძღვრები. საბჭოთა ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში, მის კომუნისტურ აღზრდაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი მეცნიერებანი, რომლებიც თეორიულად იკვლევენ ჩვენი საზოგადოების განვითარების პრობლემებს.

კმაყოფილებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აკადემიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების ახალ მოვლენათა კვლევაში, კომუნისტური მშენებლობის მრავალფეროვანი საკითხების დამუშავებაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარება ამჟამად, როცა მკვეთრად გამწვავდა იდეოლოგიური ბრძოლა დაპირისპირებულ სოციალისტურ სისტემათა ისტორიულ შეჯიბრებაში. ამ დარგში მომუშავე მეცნიერები უფრო აქტიურად უნდა დაუპირისპირდნენ და ამხილონ სხვადასხვა ბურჟუაზიული თეორიები, ანტიკომუნიზმი, მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონიზმი, მარქსიზმ - ლენინიზმისადმი მტრული ყოველგვარი მიმართულება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებენ ჩვენი მეცნიერული ინტელიგენციის პატრიოტიზმს, მის ერთგულებას კომუნისტური იდეალებისადმი, მის როლს სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებაში, აქტიურ ბრძოლას სოციალური პროგრესისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ამხანაგებო! მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ჩქარდება უშუალოდ საწარმოო ძალად მეცნიერების გადაქცევის პროცესი. მეცნიერება სულ უფრო იკიდებს ფეხს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, სახეს უცვლის შრომას, მთელ ცხოვრებას. სოციალისტური წყობილება კაპიტალისტურისაგან განსხვავებით უზრუნველყოფს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნაყოფი გამოვიყენოთ მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ—სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი სულიერი გამდიდრებისათვის.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა მეცნიერებასა და ტექნიკას უსახავს ახალ, სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს. ჩვენი ეკონომიკა ახლა ისეთ სტადიაშია, როცა მისი განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ხდება წარმოების ინტენსიფიკაცია. გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველსაერთო ამაღლება და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება, ხოლო ამას განსაზღვრავს ტექნიკური პროგრესის ტემპი და წარმოების ორგანიზაციის დონე. ერთიცა და მეორეც ეყრდნობა მეცნიერების მიღწევებს, დამოკიდებულია წარმოებაში მათი რაც შეიძლება სწრაფად გამოყენების უნარზე. იზრდება საბჭოთა მეცნიერების როლი იმ სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაშიც, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის პროცესში წამოიჭრება ხოლმე.

ამასთან უფლება არა გვაქვს ჯეროვნად არ შეეგებოთ ჩვენი მოწინააღმდეგე ორი სოციალური სისტემის ბრძოლაში. იმპერიალისტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაასუსტეს შინაგანმა წინააღმდეგობებმა, ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი ძალა და პოტენციური შესაძლებლობანი ეკონომიკის დარგში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, მიმართავს იდეოლოგიური ბრძოლის გაწყვეტ ხერხებს.

საბჭოთა ქვეყნის მეცნიერთა და უწინარეს ყოვლისა მეცნიერებათა აკადემიის მაღალი პატრიოტული ღირსების საქმეა გამოიყენონ ჩვენს სახელმწიფოში შექმნილი დიდი შეაძლებლობანი და შეიტანონ მაქსიმალური წვლილი სოციალისტური საზოგადოების შემდგომი ყოველმხრივი განვითარების საქმეში. ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს ფუნდამენტური კვლევების ფრონტი, გაიზარდოს ეფექტიანობა, უფრო მიზანმწერნილად გამოვიყენოთ მიღებული შედეგები კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში, უზრუნველვყოთ მეცნიერების ფართო მონაწილეობა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი საქმიანობის ყველა დარგში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც ყველაფერს იღონებენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მეცნიერები, მეცნიერებათა აკადემია, თავის მხრივ, კვლავაც გამოიჩენენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას ხალხის წინაშე, გაბედულად იღონან შემოქმედებითი შემართების ბუნით და თავიანთ ცოდნასა და ნიჭს მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის ისტორიული პროგრამის, დიდი ლენინის ანდერძის განხორციელების კეთილშობილურ საქმეს!

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 13 მარტის ბრძანებულება:

„საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემია ლენინის ორდენით“.

ამ სახელმოდ დღეს, დიდი და ნათელი დღესასწაულის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ, დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით გადავცემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ნ. ვ. პოდგორნიმ ლენინის ორდენი მიბაძნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დირექტორ-ბანგარ-ლენინელ ეპოქის ... ...

(ს. ვ. პოდგორნის სიტყვის დასასრული ... ...)

შეკრებილთა ტაშის გრიალში ნ. ვ. პოდგორნიმ ლენინის ორდენი მიბაძნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დირექტორს.

ძვირფასო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მივულოცო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებს მათი დიდი დამსახურების მაღალი შეფასება, თქვა მან, გისურვოთ ყველას ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი, წარმატებანი და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

სახელი და დიდება ჩვენს შესანიშნავ მეცნიერებს, საბჭოთა მეცნიერების მშრომელს, — მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესისათვის, კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლებს! (სანერძლიანი ტაში).

საერთო კრების სახელით აკადემიკოსმა ბ. ვ. კელდიშმა დიდი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

მოხსენება „ლენინი და მეცნიერება“ კრებაზე გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **მ. ვ. კელდიშმა.**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლის სულისჩამდგმელი და ბელადი იყო ლენინი, გახდა ისტორიის შემობრუნების პუნქტი, ახალი ეპოქის —კომუნიზმზე კაცობრიობის გადასვლის ეპოქის დასაწყისი, — თქვა მან. მოძხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ლენინის იდეების პრაქტიკულმა განხორციელებამ და შემოქმედებითმა განვითარებამ ააყვავა ჩვენი სამშობლო, გადაქცია იგი მაღალგანვითარებულ ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მქონე მოწინავე ქვეყანად, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების ბურჯად, კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლის დოროშად.

ისტორიის მსვლელობა სულ უფრო მეტად ადასტურებს, თუ რაოდენ სწორი იყო სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, კომუნიზმის მშენებლობაში მეცნიერების როლის ლენინისეული შეფასება, განაგრძო მოძხსენებელმა. მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი ახალი სოციალისტური და კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის შეჯიბრების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორები გახდნენ.

კომუნისტური მშენებლობის დიდი მიზნები. თქვა დასასრულ მ. ვ. კელდიშმა, აღიფრთოვანებენ მეცნიერებს თავიანთ შრომაში. ჩვენთვის მეოდ დევიზი იქნება ლენინის შთამაგონებელი სიტყვები: „ადამიანის გონებამ ბევრი უცნაურობა აღმოაჩინა ბუნებაში და კიდევ მეტს აღმოაჩენს, რითაც გააძლიერებს თავის ბატონობას მასზე“...

შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ა. ბ. რუბინინმა** გააკეთა მოხსენება „ლენინიზმი და თანამედროვეობის სოციალური პრობლემები“. მან ილაშარაკა ლენინის მოძღვრების უდიდეს როლზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლენინური მიდგომა სოციალური პრობლემების გადაწყვეტისადმი სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის საწინდარია, ხოლო ყოველგვარ გადახვევას ლენინიზმის ფუძემდებელი პრინციპებისაგან გარდუვალად მივყავართ საზოგადოებრივ განვითარებაში რეგრესისაკენ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

საოუბილეო სესიის მონაწილეებმა მიიღეს აგრეთვე „მიმართვა საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ყველა მუშაკისადმი“.

(საკდესი).

საბჭოეთ — მეცნიერთა შრომა ეროვნული იმპერიალიზმისა

ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

(ს. ვ. პოდგორნის სიტყვის დასასრული ... ...)

...ლენინ ... ...

...ლენინ ... ...

...ლენინ ... ...

ლენინის ჟურნალი 100 ჩვენს ჟლანეტაზე

„ლეიბორ მანსლის“ საიუბილეო ნომერი

ლონდონი, 1 აპრილი. (საკ-დესი). აქ გამოვიდა მარქსისტული ჟურნალის „ლეიბორ მანსლის“ აპრილის — საიუბილეო ნომერი, რომელიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სარედაქციო სტატიაში ჟურნალის მთავარი რედაქტორი პალმ დატი აღნიშნავს, რომ ლენინური მოძღვრება ფასდაუდებელი იარაღია ჩაგრულ და ექსპლოატირებულ ხალხთა ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ცნობილი მარქსისტი ისტორიკოსი რ. პეიჯ არნოტი სტატიაში „ლენინი და მუშათა მოძრაობა ინგლისში დღეს“ ხაზს უსვამს ლენინური მოძღვრების აქტუალობას ინგლისის მშრომელთა ბრძოლისათვის თავიანთი უფლებების უზრუნველსაყოფად.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ვეტერანი, კარლ მარქსის სახელობის ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ე. როტშტეინი ჟურნალის ფურცლებზე აანალიზებს უდიდეს გავლენას, რაც ლენინმა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. ჟურნალის საიუბილეო ნომერში ქვეყნდება აგრეთვე თანამედროვეთა მთელი რიგი მოგონებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, იშვიათი ფოტოსურათები, რომლებიც პროლეტარული რევოლუციის ბელადისა და ულიანოვთა ოჯახის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება.

ვ. ი. ლენინი კრემლში თავის კაბინეტში საუბრობს ინგლისელ მწერალ ჰერბერტ უელსთან. 1920 წლის ოქტომბერი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ნაძღვილად დიდი ადამიანი

ჰერბერტ უელსი

ჰერბერტ უელსი (1866-1946) — ბამოჩენილი ინგლისელი რომანისტი, უდიდესი მწერალი-ფანტასტი და პუბლიცისტი სსრ კავშირში იყო 1920 და 1934 წლებში.

რუსეთში მე ვიყავი, რაზეც ვილაპარაკე ჩემს წიგნში „რუსეთი ბურუსში“, და იქ ხანგრძლივი საუბარი მქონდა ლენინთან, აგრეთვე ბევრი რამ მსმენია მის შესახებ.

მანამდე არ შევხვედრივარ უსოდენ ორიგინალურ მოაზროვნეს, ამასთან მას იმდენად მნიშვნელოვანი მდგომარეობა ეჭირა, რომ იმამდე ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო. გეგონებოდა, რომ მთელი რესურსები, როგორიც კიდევ შემორჩენოდა რუსეთს, მის ხელში იყო მოქცეული... მისი ავტორიტეტი უდიდესი იყო.

მისი პირადი პრესტიჟის საფუძველი იყო განსჯის სიფხიზლე და შორსმჭვრეტელობა, რაც მან რევოლუციური გადატრიალების დღეებში გამოიჩინა. მას მიმართავდა მაშინ ყველა. შიშითაც და ეშვებითაც. მის ძალას შეადგენდა მიზნის სიცხადე აზრის ფენომენალურობასთან ერთად...

როგორც ყველანი, იგი ეკუთვნოდა თავის დროებას და თავის ეპოქას. როცა მას შევხვდი და ვსაუბრობდით, თვითეული ჩვენგანი იცავდა საკუთარ წინასწარ შექმნილ აზრს. ჩვენ ვლაპარაკობდით უმთავრესად იმის აუცილებლობაზე, რომ ჭარბილი გლეხური მეურნეობა შეცვლილიყო მსხვილი სოფლის მეურნეობით — ეს ხდებოდა პირველ ხუთწლიან გეგმამდე რვა წლით ადრე, — აგრეთვე რუსეთის ელექტრიფიკაციაზე, რომელიც იმ დროს მხოლოდ მის გონებაში ჩასახული ოცნება იყო. მე სკეპტიკურად ვეკიდებოდი ელექტრიფიკაციის იდეას, ვინაიდან წარმოდგენა არა მქონდა რუსეთში წყლის ენერგიის მარაგზე. „კიდევ ჩამოდით ათი წლის შემდეგ“, — მეუბნებოდა ლენინი ჩემი ეშვის პასუხად.

როცა ლენინს ვესაუბრებოდი, გაცილებით უფრო მაინტერესებდა თვით საუბარი, ვიდრე თანამოსაუბრე. მე დამავიწყდა, დიდი ადამიანები ვიყავით ჩვენ თუ მატარები, მოხუცები თუ ახალგაზრდები. მხოლოდ გამაოცა ლენინის ტანდაბლობამ, აგრეთვე მისმა განსაკუთრებულმა ხალისიანობამ და სისადავემ. მაგრამ ახლა, თოთხმეტი წლის წინათ დაწერილ ჩემს წიგნს რომ ვათვალიერებ, მეხსიერებაში რომ ალვიდგენ იმ დროის მოვლენებს და ლენინს რომ ვადარებ სხვ. გამოჩენილ ადამიანებს, რომლებსაც ვიცნობდი, უკვე ვხვდები, თუ რა განსაკუთრებული და დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა იყო იგი. მე არა ჯერ მომხრე თეორიისა კაცობრიობის ცხოვრებაში „დიდ ადამიანთა“ განსაკუთრებული როლის შესახებ, მაგრამ თუ საერთოდ ვილაპარაკებთ ჩვენი მოდგმის დიდ წარმომადგენლებზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინი, სულ ცოტა რომ ვთქვათ, მართლაც დიდი ადამიანი იყო...

როცა მე შევხვდი ლენინს, იგი უკვე ავად იყო. ხშირად უხდებოდა შეეწყვიტა თავისი მუშაობა. 1922 წლის დამდეგს ექიმებმა საერთოდ აუკრძალეს ლენინს მუშაობა, იმავე წლის ზაფხულში კი მას ნაწილობრივ დამბლა დაეცა, და 1924 წლის დამდეგს ლენინი გარდაიცვალა. მაშასადამე, იგი მთლიანად ხელმძღვანელობდა ქვეყანას მოვლენებით აღსავსე ხუთ წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ამ ხნის მანძილზე მან რუს ხალხში აღანთო ისეთი შეურყეველი შემოქმედებითი ენთუზიაზმი მის წინაშე წამოჭრილი ყველა ამოცანის გადასაწყვეტად, რომ ეს ენთუზიაზმი მასში დღემდეც ცოცხლობს. მხოლოდ ლენინის მეობებით, მის მიერ შექმნილი და ორგანიზებული კომუნისტური პარტიის მეოხებით რუსეთის რევოლუცია არ გადაგვარდა სასტიკ სამხედრო ავტოკრატიად და არ დამთავრდა სრული სოციალური კრახით. კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, გამოცდილების უქონლად მაინც შეძლო შეექმნა საჭირო პირობები დაწყებული ექსპერიმენტის წარმატებისათვის, უზრუნველყო საკმაო რაოდენობა დისციპლინიანი კადრების ნაჩქარევად შექმნილი, მაგრამ ერთგული სახელმწიფო აპარატისათვის, ურომლისოდაც რევოლუცია თანამედროვე სახელმწიფოში განწირულია სრული ჩაფუშვისათვის.

ლენინის მოქმედი გონება რევოლუციისთანავე საოცარი ხისწრაფით გადავიდა სოციალურ გარდაქმნათა განხორციელებაზე. 1920 წელს, როცა მე ვნახე, იგი ჰიპაუური ენერგიით სწავლობდა რუსეთში ელექტრიფიკაციის შესაძლებლობებს. ხუთწლიანი გეგმის იდეა, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა ადგილობრივი გეგმების სახით, წარმატებით რომ ხორციელდებოდა მთელ ქვეყანაში, დნეპრპეი — ყოველივე ამაზე უკვე ფიქრობდა იგი. ლენინის ნაყოფიერი იდეები კვლავ ახდენენ ზემოქმედებას მას შემდეგაც, რაც შემოქმედება შეწყვიტა მათმა შემქმნელმა. ამჟამადაც ამ იდეების ზემოქმედება, ეტყობა, ისევე ძლიერია, როგორ წინათ.

მოსკოვში ჩემი უკანასკნელი ვიზიტის დროს 1934 წლის ივლისში ვინახულე ვ. ი. ლენინის მაჭოლეუმი და კვლავ ვიხილე ტანდაბალი კაცი. იგი კიდევ უფრო პატარა ჩანდა, სახე გაფითრებული და მკრთალი ჰქონდა, მოუსვენარი ხელები კი მშვიდად ეწყო. წვერი თითქოს მთლად მწითური გახდომოდა. სახის გამომეტყველება ღირსებითა და სისადავით აღსავსე, ოდნავ პათეტიკური იყო; იგი გამოხატავდა გულწრფელობასა და გამბედაობას — ადამიანის უმაღლეს თვისებებს. მან მეტისმეტად ადრე მიიძინა, განსაკუთრებით რუსეთისათვის.

*) „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე მოგონებათა“ V ტომიდან. წიგნი მომზადდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და პოლიტგამომცემლობამ.

გამოფენა პუნაში

ბომბეი. (ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტი). ინდოეთის ქალაქ პუნაში, სადაც მილიონი მცხოვრებია, გაიხსნა წიგნების, პლაკატებისა და ესტამპების გამოფენა-გაყიდვა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი. გახსნის საზეიმო ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვაში პუნის უნივერსიტეტის რექტორმა დოქტორმა ჯ. ვ. პატასკარმა ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის დიდი შვილის საქმიანობისა და მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობა მთელი კაცობრიობისათვის.

ყოველდღე ათასობით ქალაქელი ნახულობს „გოკალ-პოლის“ გრცელ დარბაზს, სადაც მოთავსებულია ექსპოზიცია. ბევრს თან მიაქვს აქ ნაყიდი ნაწარმოებნი ვ. ი. ლენინისა, წიგნები მის შესახებ, რომლებიც ინდოეთის ხალხთა ბევრ ენაზეა გამოცემული, აგრეთვე ლენინის პორტრეტები.

გამოფენა მოაწყო წიგნის გამომცემლობა „პიპლზ პაბლიშინგ ჰაუსმა“. იუბილესადმი შეფარდებულ სპეციალურ „ლენინურ სერიაში“ გამომცემლობამ უკვე გამოუშვა 24 წიგნი.

გამომცემლობამ გამოუშვა კრებული ინდოელ ავტორთა ნაწარმოებებისა, რომლებშიც ლაპარაკია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ლენინიზმი ინდოეთში ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე და ქვეყნის სოციალურ განვითარებაზე ბრიტანელ კოლონიზატორთა უღლისაგან მისი განთავისუფლების შემდეგ. აპრილში მრავალნის ენაზე დიდი ტირაჟით გამოცემულ იქნება ვ. ი. ლენინის ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. გამოვა აგრეთვე ილიჩის ბიოგრაფია, დაწერილი ადგილობრივი მწერლებისა და ჟურნალისტების ჯგუფის, მათ შორის ჯ. ნერუს პრემიის ლაურეატის ვ. ბჰავეს, მიერ.

ა. ფილიპენკო.

ლენინური ჟურნალისტიკა

...ეს მეგობრული ურთიერთობა, — განაგრძობს გაზეთი,— ...

...ეს ერთ-ერთ საბჭოთა დიპლომატიურ თანამშრომელს.

...ეს ერთ-ერთ საბჭოთა ...

საბჭოთა დღეს

არგენტინის მთავრობის პასუხი

მინდინარე წლის 31 მარტს არგენტინის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ფ. ე. დელ კამპომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა არგენტინის მთავრობის ნოტა საბჭოთა მთავრობის მინდინარე წლის 30 მარტის ნოტის პასუხად იმასთან დაკავშირებით, რომ ბუენოს-აირესში თავს დაესხნენ ერთ-ერთ საბჭოთა დიპლომატიურ თანამშრომელს.

ნოტაში ნათქვამია, რომ არგენტინის მთავრობა სინანულს გამოთქვამს ამ ინციდენტის გამო, რომელიც პროვოკაციულად მოაწყვეს შეიარაღებულმა დამნაშავეებმა, და ალუთქვამს საბჭოთა მთავრობას, რომ იხმარს ყველა საჭირო ღონისძიებას იმისათვის, რომ უზრუნველყოს არგენტინაში სსრ კავშირის საელჩოსა და მისი თანამშრომლების უშიშროება და ნორმალური მუშაობა.

როგორც არგენტინის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, დაკავებული არიან პირნი, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა დიპლომატიურ თანამშრომელზე თავდასხმაში, მიმდინარეობს გამოძიება, დამნაშავენი დაისჯებიან.

ამერიკელები აღტაცებულნი არიან

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკდესი). ნიუ-იორკში დაიხურა საბჭოთა ფოტოგამოფენა „სსრ კაშშირი-1970“.

ექსპოზიცია დიდი წარმატებით სარგებლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ამ უდიდეს ქალაქში. მუშაობის 18 დღის მანძილზე იგი დაათვალიერა დაახლოებით 45 ათასმა კაცმა.

შთაბეჭდილებათა წიგნში თითქმის ყოველ ფურცელზე შეხვდებით სიტყვებს: „მშვენიერია“, „შესანიშნავია“, „საოცარია“.

„თქვენი გამოფენა ჩინებულია, — წერს ეკა გურევიჩი. — დიდად გმადლობთ“. „ჩვენ გვსურს მეტი ვიხილოთ და ვიცოდეთ იმ შესანიშნავ საქმეებზე, რომლებსაც თქვენ აკეთებთ. დიდ ბედნიერებას გისურვებთ“. — წერს ე. ჯორდანი. ბი ციოლ-ქმარ ანგვიშების ჩანაწერიც: „გმადლობთ, რომ ასე შეუპოვრად იღწვით მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ძალიან მადლობელი ვართ თქვენს ქვეყანაში ამ მოგზაურობისათვის“.

„გამოფენაზე, — თქვა მისმა დირექტორმა ნ. ვ. დიაკონოვმა, — დადიოდა ბევრი ახალგაზრდობა, მოსწავლე. ჩვენ შევნიშნეთ, რომ ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენდა დიდი სამამულო ომის ფოტოსურათებისადმი.

მეგობრობის საზოგადოება

ამანი, 1 აპრილი. (საკდესი). ამანში გაიმართა იორდანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პირველი საზეიმო სხდომა, რომელიც მის ოფიციალურ გახსნას მიეძღვნა.

სასპატიო სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ამანში ა. ვ. ანისიმოვი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის გენერალური მდივანი ა. ნ. სტეპუნინი, ამანში აკრედიტებული მთელი რიგი ქვეყნების ელჩები.

გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა იორდანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, იორდანიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სულეიმან ნაბულსიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უანგარო დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს საბჭოთა კავშირი არაბული ქვეყნების ხალხებს ისრაელ აგრესორთა წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში.

იორდანიის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს ახალი საზოგადოების დიდი როლი საბჭოთა კავშირ-იორდანიის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის მიღწევებთან იორდანიის საზოგადოებრიობის გაცნობის საქმეში.

ყურადღების ცენტრში

თეირანი, 1 აპრილი. (საკდესი). ირანის ყველა გაზეთი ბეჭდავს საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივ კომუნიკეს, რომელიც გამოქვეყნდა ირანში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ.

„საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობა, რომელიც ძალიან მეგობრული გახდა, შეიძლება იყოს მაგალითი ყველა სხვა ქვეყნისათვის“, — წერს გაზეთი „თეჰრან ჯორნელი“. „ეს მეგობრული ურთიერთობა, — განაგრძობს გაზეთი,— ემყარება ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს“.

ეხება რა ირანისა და საბჭოთა კავშირის პოზიციებს ისეთ საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის, ვიეტნამის პრობლემა, ევროპის უშიშროება, განიარაღება, გაზეთი „ქეიჰან ინტერნეშენლი“ წერს, რომ ყველა ამ საკითხზე შეხვედრებისა და საუბრების დროს ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა „გამოთქვეს საერთო თვალსაზრისი, რომლებიც შვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას ემყარება“.

გაიხსნა

...ამანი, 1 აპრილი. (საკდესი). ...

„ანთეოსი“ ქენევაში

ჟენევა, 2 აპრილი. (საკდესი). გუშინ ჟენევის აეროპორტში პირველად დაჯდა საბჭოთა სატრანსპორტო თვითმფრინავი-გიგანტი „ან-22“.

„ანთეოსი“ წამოიღებს რთული ელექტრონული მოწყობილობის დიდ ტვირთს, რომელიც სერპუხოვის პროტონებს ამჩქარებლის დიდი ექსპერიმენტისათვისაა გათვალისწინებული. ეს ექსპერიმენტი ეწყობა საბჭოთა მეცნიერებისა და ევროპის ატომგულის კვლევის ორგანიზაციების თანამშრომლობის ფარგლებში (რომლის ლაბორატორიები ჟენევაშია).

რკინიგზით არისტანდარტული დიდგაბარიტიანი მოწყობილობის გაგზავნისათვის საჭირო იქნებოდა მისი დემონტაჟი, რაც ბევრად გართულებდა სერპუხოვში ამაჩქარებლის აწყობასა და გაწყობას. ასეთი ტვირთის გადაზიდვისათვის საბჭოთა თვითმფრინავის „ანთეოსის“ გამოყენებამ, რომელსაც შეუძლია ჰაერში აიტანოს 80 ტონაზე მეტი, ბევრად შეამსუბუქა ამ ამოცანის გადაწყვეტა.

დაუჯდომელი რეისი მოსკოვ-ჟენევა საჰაერო გიგანტმა განახორციელა 5 საათსა და 20 წუთში; მის ავზებში იმდენი საწვავი დარჩა, რომ საკმარისი იქნებოდა თვითმფრინავის უკან დასაბრუნებლად.

„ანთეოსის“ სანახავად შეიკრიბნენ აეროპორტის მთელი მომსახურე პერსონალი, ავიამშენებლობის დარგის სპეციალისტები, ჟურნალისტები. თვითმფრინავის ეკიპაჟმა ხომალდის მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის ი. ვ. კურლინის ხელმძღვანელობით, შეკრებილთ შესაძლებლობა მისცა გასცნობოდნენ საჰაერო ხომალდს.

კომუნისტი სენატორის მოთხოვნა

პარიზი, 2 აპრილი. (საკდესი). კომუნისტმა სენატორმა ჟაკ დიუკლომ მოუწოდა მთავრობას იხმაროს ღონისძიებანი ფაშისტური ხასიათის დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომლებმაც ამ ბოლო დროს გააქტიურეს საქმიანობა.

სენატორმა მიმართა პრემიერ-მინისტრს შეკითხვით, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ საჭიროა დაშალონ ეს დაჯგუფებები, რომლებმაც მოახდინეს არაერთი პროვოკაციული გამოხდომა, კერძოდ, თავს დაესხნენ ვ. ი. ლენინის ბინა-მუზეუმს მარი-როზის ქუჩაზე პარიზში.

...

...

...

...

...

...

მიეძღვნა დიად იუბილეს

ჩვენი მუზეუმის ლენინიანა

საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სამეცნიერო სესიები, რომლებიც იანვრიდან რეგულარულად იმართება, ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. პირველი სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მუზეუმში გაიმართა, მოსმენილ იქნა მოხსენებები: შ. მარკოზაშვილის „ლენინი და ქართველი რევოლუციონერები", ვ. ღლონტის „ლენინი ლიტერატურის პარტიულობის შესახებ", ც. მაჩხაშვილის „ლენინის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში" და სხვ.

შემდეგ გამსვლელი სამეცნიერო სესიები მოეწყო მცხეთის რაიონის სოფლებში (მუხრანი, წილკანი, ძალისი, მიხაკციელი, გალავანი, საგურამო, ჩარდახი, ძეგვი, ნიჩბისი), აგრეთვე წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

გამსვლელი სამეცნიერო სესიები გაიმართა მეზობელი რაიონების დიდ სოფლებში: ბარისახოში, ოძისში (დუშეთის რაიონი), ნიმონიანთხევში (თიანეთის რაიონი), ლამისყანაში (ყასპის რაიონი), კოდაში (თეთრი წყაროს რაიონი), გლდანში (გარდაბნის რაიონი), პატარძეულში (საგარეჯოს რაიონი).

ამის შემდეგ ჩვენი სახლ-მუზეუმის მეცნიერი მუშაკები ეწვივნენ ლენინგორის ქართულ საშუალო სკოლას. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ინტერესით მოისმინეს მათი მოხსენებები. სამეცნიერო სესია მოეწყო აგრეთვე თბილისში ილია ჭავჭავაძის სახელობის მედმუშაკთა კულტურის სახლში, რასაც ბევრი ხალხი დაესწრო.

საინტერესო იყო შეხვედრა ყვარელში, სადაც სკოლა-ინტერნატში სამეცნიერო სესიის დამთავრების შემდეგ დავთვალიერეთ ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმები.

გამსვლელი სესიები გვქონდა აგრეთვე ცნობილი რევოლუციონერების მიხეილ დავითაშვილისა და ლადო კეკელიძეების მშობლიურ სოფლებში (ბაშურის რაიონის სოფელი წრომი, გორის რაიონის სოფელი ტყვიავი), ხოლო დასკვნითი სესია ჩავატარეთ ქ. გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენი მუზეუმის მიერ გამართულ 27 სამეცნიერო სესიას დაესწრო 3.000-ზე მეტი კაცი.

ამ დღეებში სამეცნიერო სესიების ახალ ციკლს დავიწყებთ დასავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ სერგო ორჯონიკიძის, გიორგი და ვანო სტურუების, ალექსანდრე წულუკიძის, საშა გეგეჭკორის, მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძის მშობლიურ სოფლებში. ბოლოს ვეწვევით ბათუმს, სადაც ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლაში მოვაწყობთ ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ სამეცნიერო სესიას.

დ. ნავდარაშვილი,
საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი.



- **უდიდესი ურალზე...**
- **მაისკოეს ლურჯი საწვავი...**
- **ახალი სავაჭრო ცენტრი**

ეს ვიცოდით

სვერდლოვსკის ოლქი. ქალაქ ასბესტის ახლოს მდებარე რეფტის ნაპირზე შენდება ურალში ერთ-ერთი მსხვილი სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგური. მშენებლები წარმატებით ასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. ამონტაჟებენ ძირითად ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მიმდინარეობს ორთქლის ტურბინის აწყობა.

სურათზე (ზემოთ) — სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე.

●

დასასრულს უახლოვდება მაისკოე-აშხაბად-ბეზმეინის 400-კილომეტრიანი გაზგაყვანილობის მაგისტრალის მშენებლობა.

მაისკოეს ცისფერი სათბობი მივა რესპუბლიკის დედაქალაქ აშხაბადში, ქალაქ ბეზმეინში, გაზით მომარაგდება მთელი მაგისტრალის გაყოლებით მდებარე დასახლებული პუნქტები.

სურათზე: 30-მეტრიანი მილები მიაქვთ დანიშნულების ადგილზე.

ახალი სავაჭრო ცენტრი

ახალი სავაჭრო ცენტრი აშენდება კრასნოდარის მხარის სტანიცა ნოვოკუბანსკში. შენობის პირველ სართულზე განლაგდება პროდუქტებისა და ავეჯის მაღაზიები, მეორე სართულზე — სამრეწველო საქონლის უნივერსალური მაღაზია და სამკერვალო ატელიე.

სავაჭრო ცენტრში იქნება აგრეთვე რესტორანი 140 ადგილიანი ორი დარბაზით და საბანკეტო დარბაზებით. აქვე მოთავსდება სამწვადე და კაფე-სასაუზმე.

შენობის წინ გაკეთდება ავტომანქანების სადგომი.

სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე აგრეთვე გათვალისწინებულია ოთხსართულიანი სკოლის აშენება, სადაც მოამზადებენ მომავალ გამყიდველებსა და კულინარებს.

ცენტრის პროექტი შეიმუშავეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის შენობებისა და ნაგებობათა დაპროექტების ინსტიტუტის „როსპროექტის" არქიტექტორებმა.

სურათზე: ახალი სავაჭრო ცენტრის მაკეტი.

ფოტო საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოსი

ა. ა. ბარსეგოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1921 წლიდან, პერსონალური პენსიონერი არესია არტემის ასული ბარსეგოვა.

ა. ბარსეგოვა დაიბადა 1892 წელს ქალაქ თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზელი მუშის ოჯახში, რომელიც გადმოსახლებული იყო რევოლუციური მუშაობისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბევრად ადრე ბარსეგოვა ჩაება იატაკქვეშა ბოლშევიკური ჯგუფის მუშაობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ა. ბარსეგოვა იგზავნება პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე.

1921 წლის თებერვლიდან 1930 წლამდე მუშაობს საქართველოს კპ(ბ) პირველი რაიკომის საორგიცხელო-საგანმანაწილებლო განყოფილების გამგედ. 1930 წლიდან ა. ბარსეგოვა ინიშნება ჯერ თბილისის საკონტროლო კომისიისა და შემდეგ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტგამომძიებლად, ხოლო შემდეგ კი საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიის პარტგამომძიებლად საქართველოში. 1939-დან 1944 წლამდე იგი მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო 1944 წლიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტკომისიაში.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ა. ბარსეგოვას დამსახურებას. იგი დაჯილდოებული იყო „სპატიო ნიშნის" ორდენით და 3 მედლით: „კავკასიის დაცვისათვის", „1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და „შრომითი მამაცობისათვის".

როგორც გამოცდილი პარტიული მუშაკი ა. ბარსეგოვა კარგი აგტორიტეტით სარგებლობდა ამხანაგებში, ფართო პარტიულ აქტივში.

ა. ბარსეგოვას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

მეორე სამშობლო — საქართველო

რუსთავი. (საკ. კორ.). მოხდა ისე, რომ დიდმა სამამულო ომმა პანფეროვების ოჯახი დაქსაქსა: მამა ბრძოლის ველზე დაეცა, დედა და ორი შვილი სხვადასხვა ადგილებზე აღმოჩნდნენ. ნახევარი წლის წინათ არცერთმა არ იცოდა ერთმანეთის სამყოფელი ადგილი. თუმცა ძებნა მათ არასდროს არ შეუწყვეტიათ. და აი დედამ, რომელიც ალმა-ატაში ცხოვრობს, შეიტყო, რომ მისი ქალიშვილი ლარისა რუსთავში იმყოფება.

ლარისა ჯერ ვაშლოვანის საბავშვო სახლში იზრდებოდა, შემდეგ რუსთავის საბავშვო სახლში. აქვე რუსთავში დაამთავრა საშუალო სკოლა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში დაიწყო მუშაობა გადამხვევლის პროფესიით. პირველი წერილისთანავე დედამ შვილს აცნობა, რომ მას ჰყავს ძმა სერგეი, რომელიც ასევე საქართველოში ცხოვრობს. ძმის მოძებნის სურვილი ლარისას მოსვენებას არ აძლევდა და მოძებნა კიდეც. დადგინდა, რომ სერგეი სხვადასხვა დროს ჯამბულისა და შუამთის სკოლა-ინტერნატში იზრდებოდა, ამჟამად კი თბილისის № 31 პროფტექნიკურ სასწავლებელში ეუფლება სპეციალობას და ამასთან მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა.

ამ დღეებში სერგეი რუსთავში ჩავიდა და პირველად ნახა თავისი 24 წლის და.

აუწერელი იყო სიხარული, რომელიც მათ ამ შეხვედრის დროს განიცადეს.



ცაზეა ახალი კომეტა

ტელეფონით აბასთუმნიდან

□

ამ დღეებში დილის 5 საათიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის ცაზე შეიძლება შეუიარაღებელი თვალით შევამჩნიოთ საინტერესო ციური სხეული „კუდიანი ვარსკვლავი". ეს არის კომეტა, რომელიც გასული წლის დეკემბერში აღმოაჩინა ამბრეთაფრიკელმა ასტრონომმა ჯონ ბენეტმა. კომეტის მარაოსებური კუდი განფენილია ცაზე 15°-ზე და მეტად მომბიბლავ შთაბეჭდილებას ახდენს დამკვირვებელზე. აქამდე კომეტა ჩანდა მხოლოდ დილამაობი სამხრეთ ნახევარსფეროში. აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გუშინ, 2 აპრილს, დილით 5 საათიდან მოეწყო საინტერესო კომპლექსური მეცნიერული დაკვირვება ამ კომეტაზე. მიღებულია საინტერესო ფოტოგრაფიული და ელექტროფოტოარმტრიული დაკვირვებითი მასალა. დაკვირვებებს ხელი შეუწყო მოწმენდილმა ცამ და კარგმა გამჭვირვალემ.

კომეტაზე დაკვირვება გრძელდება. სხვათა შორის მივიღეთ დეპეშა იაპონიის ზღვაში მყოფი საბჭოთა თბომავლის „დარასუნის" კაპიტნის ბუაძისაგან, რომელშიც გვატყობინებს, რომ გემის ეკიპაჟმა კარგად დაინახა ეს კომეტა პეგასის თანავარსკვლავედში, და გვთხოვს კომენტარი გაუკეთოთ ამ მოვლენას. ამ მოკლე კომენტარს ზემოთ გაეცნო მკითხველი.

დოცენტი
ვ. ჯავახიშვილი,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ორი ტაიმი, ორი ტაქტიკა

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი) 2:1 (1:0). თბილისი. 2 აპრილი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ი. ბოჩაროვი. (მოსკოვი).

„დინამო" (თბილისი) — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეგვიანშვილი, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გნოდია, ლ. ნოდია (გავაშელი);

„დინამო" (მინსკი) — ხრუსტალიოვი, კუზნეცოვი, გრებნევი, ბაილოვსკი, სემიონოვი, გირკო (ვორონინი), ტოლეიკო, ადამოვი, ვასილიევი, მალოფეევი, სახაროვი (კობერსკი).

ბური ტურს მიხდევს, წარმატებას წარმატება ემატება და სამდუღაროვიც აბა რა უნდა გვქონდეს. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო მაინც ის არის, რომ თბილისელთა ყოველ თამაშში პროგრესი იგრძნობა. გამარჯვებებს მოსკოვის „სპარტაკთან", კიევის „დინამოსთან" და დედაქალაქის „ტორპედოსთან", რა თქმა უნდა, შემთხვევითობას ვერ მივაწერთ. თბილისელმა ფეხბურთელებმა მართლაც რომ ჩინებული ბრძოლა გვიჩვენეს, დინამოელთა თაყვანისმცემლები კმაყოფილნი არიან არა მარტო აქტიური ბალანსით, არამედ ეფექტური, შემოქმედებითი სპორტული დავით.

და აი ასეთი საწყისის შემდეგ დადგა მეოთხე ტურის დღე. შეხვდრა მინსკელ თანაკლუბელებთან. მართალია, ჩვენი სტუმრები როგორც ტრადიციით, ისე პოტენციალით ჯერ კიდევ ვერ დგანან მოსკოვის „სპარტაკისა" და კიევის „დინამოს", ვერც თბილისის „დინამოსა" და დედაქალაქის „ტორპედოს" დონეზე, მაგრამ ჩემპიონატის ყველა მატჩი თანაბრად პასუხსაგებია, ლიდერთან შეხვედრა იქნება იგი თუ აუტსაიდერთან. დიახ, გუშინ თბილისელებს აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან — მინსკის დინამოელებთან ჰქონდათ საქმე. უნდა ითქვას, რომ ეს იყო მახვინძელთა გამოცდის კიდეკ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. აუტსაიდერებიც ხომ საშიშნი არიან და ზოგჯერ მეტად საშიშნიც.

მატჩი უნივეულო პრესინგით დაიწყო. მეფარეობა ერთი ერთზე, დინამოელთა ტემპის შენელება — აი მინსკელთა ძირითადი ტაქტიკა პირველ ტაიმში. ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირველი, რომ ხშირად სტუმრებს წინ მხოლოდ ერთი ფორვარდი — ვასილიევი ჰყავდათ, მალოფეევსა და სახაროვს ხშირად საკუთარი კარის მიხადგომებთან ვხედავდით. ასეთ ორომტრიალში თამაში უჭირდათ დინამოელებს. მართალია, იერძნობოდა მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა, ოსტატობა, კომბინაციათა სიუხვე, მაგრამ გოლი არ ჩანდა, და მაინც სტუმართა კარი აღებულ იქნა. ეს მოხდა 31-ე წუთზე. ბურთი გ. ნოდიამ გაიტანა.

მეორე ნახევარში მინსკელებს პირდაპირ ვეღარ იცნობდით, მათ ერთბაშად შეცვალეს ტაქტიკა — თავი დაანებეს პრესინგს, უმატეს ტემპს, გაშალეს თამაში და უკვე დასაწყისშივე არა ერთი რეალური საფრთხე შექმნეს. მათ შორის ესეც ყველზე დასამახსოვრებელი იყო 48-ე წუთი, როდესაც ვასილიევმა ხელდან გაუშვა წონასწორობის აღდგენის შესაძლებლობა.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით მეტრეველის, გ. ნოდიას და ასათიანის მაღალტექნიკურ თამაშზე, ვინაიდან მაყურებლები ამას შეეჩვივნენ; მაგრამ რომ უმატეს თამაშს კუტავაძემ, ხინჩიგაშვილმა და პეტრიაშვილმა, ეს სასიამოვნო ფაქტია. სწორედ ამ სამეულის ერთი წარმომადგენელი — პეტრიაშვილი გახლდათ მეორე გოლის ავტორი 72-ე წუთზე. აქ ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ წინა მატჩში „სპარტაკთან" სწორედ გ. ნოდიამ და პეტრიაშვილმა გაიტანეს ბურთები.

შეხვედრის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მინსკელები არ ცხრებოდნენ. მათ თამაშის დამთავრებამდე სამიოდე წუთით ადრე შეძლეს ბურთის გატანა (ადამოვი), მაგრამ, ეს იყო და ეს, დამარცხებას (1:2) მაინც ვერ გადაურჩნენ.

თბილისის „დინამო" კვლავ ლიდერია — 8-დან 8 ქულა ბურთების კარგი სხვაობით 9-2, მეტაქველი და დამჯერებელი ციფრებია.

ვ. გაბელია.

ევროპის ფეხბურთის მოედნებზე

გრძელდება ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები ფეხბურთში. გაიმართა პირველი ნახევარფინალური მატჩები.

ლიდსში ინგლისის ჩემპიონი „ლიდსი" დამარცხდა შოტლანდიის „სელტიკთან" შეხვედრაში 0:1.

მარსელში პოლონეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონების — „ლეგიონის" და „ფეიენორდის" მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

რომში თასების მფლობელთა თასზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რომა" და ზაბეგუს (პოლონეთი) „გურნიკი". მატჩის შედეგია ფრე — 1:1

გელზენკირჩენში (გფრ) ადგილობრივმა „შალკე-04"-მა თასების მფლობელთა თასზე მოუგო ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს" 1:0.

მეორე ნახევარფინალური მატჩები შედგება 15 აპრილს.

მატჩები და შედეგები

გუშინ „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებს საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები ჰქონდათ. შეხვედრები გაიმართა სოჭში, თბილისში, ფრუნზეში, ბაკოში, ოდესაში, დონეცკში, ვოროშილოვგრადსა და ტაშკენტში.

სსრ კავშირის ჩემპიონს მოსკოვის „სპარტაკსა" და უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტებს ორჯონიკიძელ თანაკლუბელებს მატჩი სოჭში ჰქონდათ. შეხვედრის შედეგია 5:1 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა სტარტზე ორი გასვლითი თამაში მოიგო ზედიზედ ბურთების სხვაობით — 7-0 და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება. გუშინ ცსკა ფრუნზეში შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს" და გაიმარჯვა 2:0.

წლევანდელი ჩემპიონატი წარმატებით დაიწყო აგრეთვე ბაკოს „ნეფტჩიმ" — 2 მოგება ბურთების სხვაობით 5-0. ბაკოელებს მესამე მატჩიც საკუთარ მოედანზე ჰქონდათ, ამჯერად დედაქალაქის „ტორპედოსთან". შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

ოდესაში თამაშობდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და ოდესის „ჩერნომორეცის" გუნდები. წარმატება როსტოველებს ხვდათ 2:1.

სსრ კავშირის ეკს-ჩემპიონები — კიევის დინამოელები დონეცკს ეწვივნენ და აქ პაექრობა ჰქონდათ აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებთან — ადგილობრივ „შახტიორის" ფეხბურთელებთან. შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 1:0.

მატჩი ტაშკენტში მოსკოვის „დინამოსს" და ტაშკენტის „სახტაკორის" გუნდებს შორის დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 4:0.

ფრა

ქუთაისის ტორპედოელებმა საკუთარ მოედანზე თამაშის პირველი ცეკლი დაამთავრეს და მეოთხე ტურის მატჩისათვის ვოროშილოვგრადს ეწვივნენ „ზარის" ფეხბურთელთა კოლექტივთან შესახვედრად.

ეს მატჩი გუშინ შედგა. შეხვედრის შედეგს მეტოქეთათვის ერსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მასპინძლებს სწადდათ ლიდერთა ხუთეულში პოზიციის განმტკიცება, ქუთაისელებს კი აუტსაიდერთა ჯგუფიდან თავის დაღწევა. თამაში პრინციპული, უკომპრომისო გამოდგა. მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა, თუმცა ამის შესაძლებლობა იყო. საბოლოდ ფრე — 0:0.

ჭადრაკი

სამი ყაიმი

გუშინ ბელგრადში გაიმართა სსრ კავშირისა და მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩის მესამე ტური.

ყველაზე ადრე დამთავრდა მორტისა და პოლუგაევსკის პარტია. უკვე მე-11 სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გელერ-ლეგოროვისა (25-ე სვლაზე) და პეტროსიან-ფიშერის (32-ე სვლაზე) პარტიები. დანარჩენი პარტიები გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

ნახევარფინალში გავიდნენ

გუშინ მოსკოვის „დინამოს" ფრუნზეფრთელ ქალთა გუნდმა საკუთარ მოედანზე მეორე მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხა პოლონეთის „ვისლა" და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

ქომუნისტი

ბიბლიოგრაფია

საბელმწიფო 3-% შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 30-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1970 წლის 30 მარტს ქალაქ ბაკოში.

მოგება ხვდა სესხის ოცდაცხრაგვე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100039	48*)	500	135990	1—50	40	165761	15*)	500
100326	1—50	40	136439	1—50	100	166961	27*)	1000
100694	35*)	500	136569	1—50	40	168353	1—50	40
101094	1—50	100	136812	12*)	1000	168575	1—50	40
101754	12*)	500	137078	22*)	500	168753	25*)	500
103053	1—50	100	137114	49*)	500	168760	37*)	500
103178	16*)	500	137215	1—50	100	170382	1—50	40
103357	33*)	1000	137508	03*)	2500	171167	01*)	500
103432	11*)	500	137993	46*)	500	171558	26*)	500
103528	29*)	500	138015	1—50	40	171764	1—50	40
103912	50*)	500	138521	18*)	2500	172001	15*)	1000
104877	35*)	500	138795	01*)	500	173257	31*)	500
105824	1—50	40	141022	47*)	500	174833	1—50	40
106126	29*)	500	141416	32*)	500	175511	11*)	500
106428	44*)	1000	141523	02*)	500	175736	1—50	40
106991	28*)	500	143165	1—50	40	176135	26*)	500
108496	45*)	500	143223	1—50	100	176512	1—50	40
109245	29*)	500	143275	1—50	40	178162	1—50	40
109521	34*)	500	143357	27*)	500	178742	45*)	500
109579	24*)	500	144170	1—50	40	178849	28*)	500
109934	44*)	500	144344	44*)	500	180129	1—50	40
110110	13*)	500	144998	48*)	500	180870	26*)	1000
110122	1—50	40	145518	47*)	500	181218	1—50	40
110343	46*)	500	145919	15*)	2500	181918	27*)	500
112684	46*)	1000	146256	24*)	500	182020	1—50	100
113249	1—50	40	147026	1—50	40	183403	20*)	500
113343	07*)	500	147257	1—50	40	183522	49*)	500
114662	37*)	500	148402	19*)	500	183873	18*)	500
115738	1—50	40	148767	35*)	500	184079	28*)	500
116457	1—50	40	148809	42*)	500	185426	21*)	500
116558	05*)	500	149168	31*)	500	185579	04*)	500
117714	34*)	500	151138	33*)	500	185607	19*)	500
117971	36*)	500	151953	1—50	40	185699	06*)	500
118156	22*)	500	151955	05*)	500	185747	32*)	500
118405	1—50	40	153399	04*)	500	186253	44*)	500
118830	32*)	500	153943	1—50	40	186254	1—50	100
119277	1—50	40	154647	1—50	40	186683	41*)	5000
120089	27*)	500	155429	1—50	40	187931	20*)	500
120263	16*)	500	155838	06*)	500	188639	1—50	100
120630	03*)	1000	155940	1—50	100	188916	34*)	500
121328	1—50	40	157236	1—50	40	190509	47*)	1000
121639	08*)	500	157386	30*)	1000	190864	29*)	500
121844	03*)	500	160163	48*)	500	190991	47*)	500
122545	1—50	40	160449	11*)	500	191224	1—50	100
122962	07*)	5000	160472	34*)	500	191785	26*)	1000
124057	36*)	500	160509	13*)	500	191841	44*)	500
124303	1—50	40	160695	34*)	500	192129	14*)	1000
124702	05*)	500	161042	35*)	1000	192512	36*)	500
124713	35*)	1000	161242	32*)	500	192541	16*)	500
127566	1—50	40	161429	1—50	40	192827	32*)	500
127852	31*)	500	161638	35*)	500	193313	06*)	500
127992	33*)	500	162110	05*)	500	193470	29*)	500
128294	15*)	500	162330	35*)	500	193961	1—50	100
128971	33*)	1000	162687	29*)	500	194758	44*)	2500
131153	21*)	1000	162720	1—50	40	195256	1—50	100
131792	23*)	500	162860	22*)	500	195482	39*)	500
132326	48*)	1000	163161	05*)	1000	196369	1—50	100
132757	03*)	500	163508	1—50	100	196465	1—50	40
132856	07*)	500	164126	21*)	500	197280	48*)	500
133886	30*)	500	164331	02*)	500	198012	28*)	1000
134573	38*)	500	164437	44*)	2500	198641	24*)	500
135060	30*)	500	164597	48*)	500	198838	10*)	1000
135157	45*)	500	165504	45*)	500			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგებს თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ბაკოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ვ. ხ. მაიოროვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ბ. ესინა.**

ტანსაცმლის საყოველთაო ფორმაზე გადასვლა

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1970 წლის 6 აპრილიდან ტანსაცმლის საზაფხულო ფორმაზე გადადიან.

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 3 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბ.)	4	4	0	0	9-2	8
ცსკა	3	3	0	0	9-0	6
„დინამო" (კ.)	4	3	0	1	5-3	6
„ნეფტჩი" (ბ.)	3	2	1	0	6-1	5
„არარატი" (ერ.)	3	2	1	0	3-1	5
„ზარია" (ვ.)	4	1	3	0	3-1	5
„დინამო" (მ.)	2	2	0	0	6-0	4
„სპარტაკი" (მ.)	4	1	2	1	7-5	4
სკა (როს.)	3	2	0	1	3-2	4
„ტორპედო" (მ.)	4	1	1	2	3-6	3
„ჩერნომორეცი" (ო.)	3	0	2	1	1-2	2
„ტორპედო" (ქ.)	4	0	2	2	2-4	2
„პახტაკორი" (ტ.)	4	0	2	2	1-10	2
„დინამო" (მნ.)	3	0	1	2	2-4	1
„შახტიორი" (დ.)	4	0	1	3	1-6	1
„ზენიტი" (ლ.)	4	0	1	3	2-9	1
„სპარტაკი" (ო.)	4	0	1	3	3-10	1

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

4 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — საცეკვაოები ქართული ოპერებიდან, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.30—რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — ბ. ბარტოკი. პიესები საფორტეპიანო ციკლიდან „მიკროკოსმოსი", 11.45 — საუბარი „ახალი უნგრეთი 25 წლისაა", 12.00 — ციკლიდან „დიადი ცხოვრების წლები" — 1923 წელი (მოსკოვი), 12.30 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.45 — ა. ჩიმაკაძე. კამერული ნაწარმოებები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — უნგრული სიმღერები, 14.00 — „მხიარული ტალღაზე", 14.30 — ს. ნასიძე. მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 15.00 — „იძრა ნამყარო". ლიტერატურული პროგრამა უნგრელი მწერლების ნაწარმოებთა მიხედვით (მოსკოვი), 16.15 — კონცერტი უნგრელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. სიყმაწვილო ოპერა „ზარმაცი შაშვი", 18.10 — ბახარაძის კულტურის რაიონულ სახლთან არსებული თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი, 18.45 — უკრავს უნგრეთის რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, 19.00 — საუბარი „უმაღლესი ჯილდო" (ლენინის ორდენის დაარსების 40 წლისთავის გამო), 19.30 — კამერული მუსიკის კონცერტი, 20.30 — ახალგაზრდობისათვის. რადიოკომპოზიცია „ჟულიანთ მეგობრებს", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ი. საბო „გაზაფხულის ღღეს". მოთხრობა, 22.00 — უნგრეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნ